ოქმი N21
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

2015 წელი, 30 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი
11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა - დავით დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დ. კვერღელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. საჯაია, ე. გორდელაძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ა. გოგოძე, ვ. ვადაჭკორია, გ. კილაძე, ბ. ღლონტი,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხაიძე, ნ. ურუშაძე, გ. კოჩალიძე, ი. მამალაძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ვ. ნიჟარაძე, ბ. გობრონიძე, ნ. კალანდარიშვილი, ლ. კილაძე, გ. მესხიძე, ლ. სიჭინავა, ლ. ნაცვალაძე, კ. გობრონიძე, ვლ. ჩავლეშვილი, ბ. ლომჯარია, მ. ბერიძე, შ. დოლიძე, ხ. წულაძე, ტ. მგელაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - ა. ყაზაიშვილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები;

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, განაცხადა, რომ სხდომა მოწვეულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, მილოცა დამდეგი ახალი წელი და მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია (42 დეპუტატიდან რეგისტრაცია გაიარა 30 -მა,

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას), გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

46.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: პ.ჭყონია

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30 ხმით

საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო